პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 167

2018 წ. „12" 09

ქ. თბილისი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №39 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეიცვალოს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №39 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრს" (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები":

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ვებ ინტერფეისის დეველოპერი (1)	მესამე	ვებინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165	61	76	ქართული	40	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
2	ფილამწყობი (1), (2)	მესამე	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	68	83	ქართული	30	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
3	ჰაერის კონდიცირება (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ჰაერის კონდიცირებაში 040571	52	82	ქართული	45	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
4	შედუღება (1), (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	90	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
	შედუღება (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	79	109			
5	ელექტროობა (1), (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	52	67	ქართული	90	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
	ელექტროობა (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	70	100			

6	წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები (1), (2)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში 040684	52	82	ქართული	45	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
	წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში 040685	52	82			

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №17 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
კარლო კერვალიშვილი

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი